საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა 25 03 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 364/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 7 მარტის N 71258/03 განცხადით შპს „ევროლუქსის" (მის: ლილოს დას. 5 კვ.კორპ. 2, ბინა 108, თბილისი, საქართველო) დირექტორმა ელდარი აბაზ ოღლიმ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ARSHIA" (რეგ. N 23476) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ARSHIA" (რეგ. N 23476) საქართველოში რეგისტრირებულია 25.03.3013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 25.03.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ARSHIA" (რეგ. N 23476) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 196, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 25.03.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „ევროლუქსის" დირექტორს ელდარი აბაზ ოღლის (მის: ქ. თბილისი, ჭირნახულის N9).

ასლი დედანთან სწორია
"25" 03 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **ARSHIA**

რეგისტრაციის N: **23476**

მფლობელი: **შპს „ევროლუქსი“**

მისამართი: **ლილოს დას. 5 კვ.კორპ. 2, ბინა 108, 0198, თბილისი, საქართველო**

კლასი:

9 - სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, სასიგნალო, საკონტროლო (შემოწმების), სამაშველო და სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, გადამცემი და აღმწარმოებელი აპარატურა; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები, ხმის ჩამწერი დისკები; სავაჭრო ავტომატები და მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები; ცეცხლმქრობები.